

# ლელო

№ 7  
(6568)

10

1980 წ.  
იანვარი,  
სუთხაბათი.  
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გაზეთის  
1984 წლის  
13 აპრილიდან



ზამთრის ოლიმპიური  
თამაშების დაწყებამდე  
დარჩა 84 დღე

## უფროსი კალათბურთი მწკრივების აზრით

გვესაუბრება სსრ კავშირის კალათბურთულ ვაჟთა ნაკრების უფროსი მწკრივები ა. გომეზი.

— მას შემდეგ რაც მოსკოვში 3-დან 11 მარტამდე გათამაშდება საკვირეო ჩემპიონატის ფინალური ტური, სამტოთა ოლიმპიური ნაკრები სოხუმიში გააგრძელებს მზადებას.  
3-დან 22 აპრილამდე გუნდი მოსკოვში გადანიაცვლებს, შემდეგ კი გამოვა ორ საერთაშორისო ინდივიდუალური ტურნირისა და იტალიაში, შემდეგ კი ესპანეთში უმასპინძლებს. ისევ სოხუმი და ინდივიდუალური ტურნირისა და ტაქტიკური სემინარების სრულყოფა. 18-დან 31 მაისამდე ნავარაუდევია ტურნირი ავსტრალიაში, თუ იქ სხვაგვარად არ იქნება დაგეგმილი. ავსტრალიიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი ნაკრები ნოვოგორსკში დაბინავდება და ოლიმპიადის დაწყებამდე აქ გაივლის მზადების უკანასკნელ ეტაპს, რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრას ჩაატარებს მოსკოვში — იტალიელებთან, ესპანელებთან და ჩეხოსლოვაკიელებთან.

ამერიკელები ევროპაში ოლიმპიადამდე ათი დღით ადრე ჩამოვლენ. სპარინგ-მატჩებს გამართავენ ესპანეთში, იტალიასა და საფრანგეთში. მოსკოვს 18 ივლისისთვის უწევია.

ახლა, რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, განსაკუთრებულ ყურადღებას გვაქვს მხოლოდ ცენტრალურ თავდამსხმელებზე: ქიგლი-დერიუგინი-ბელოსტიკი, ტაქაჩიკო, რომელიც საკმაოდ სერიოზულად დაშავდა, 10 იანვრიდან შეუდგება ინდივიდუალურ ვარჯიშს, თავდამსხმელებიდან შედგენილობით გამოირჩევიან ტარაკანოვი, მიშკინი, პავლონისი და ლობატივი. დღეისათვის ლობატივი და პავლონისი ავად არიან. სწორედ წამყვან კალათბურთელთა ნაკლებობამ გვაიძულა მოგვეწვია ახალი მითამაშენი —

ფეხენკო და დუდოროვი. ვეტერანი ქარმუხამელოვი და სალნიკოვი, რომელიც აქტიური მცველის მოვალეობასაც ასრულებს, ნაკრებში რჩებიან.  
ბევრი მითამაშე გამოიცადა უკანა ხაზზე. ბელოვი, იოვანიშვილი, ერიომინი სტაბილურები არიან და მათი ნაკრებში ყოფნა არაერთი იქნება არ იწვევს. ერიომინი ფაქტიურად ერთადერთი კალათბურთელია, რომელსაც შეუძლია ამერიკული პრესინგის გადალახვა. მეორე ასეთი არ მგეგულება. სწორედ ამიტომ სავანდობლად ვაღიარებდი თვალ-ყურს მეღეშკინს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მას სტაბილურობა აკლია, რის გამოც ამ ახალგაზრდა სპორტსმენს მთლიანად ვერ ვენდობით. იმედია, საკავშირო ჩემპიონატი და მზადების ეტაპები მეღეშკინს საშუალებას მისცემს დაიმკვიდროს ადგილი ნაკრებში.

გუნდში მოწვეული გვყავდა სპარტაკელები — მაკევი, კაპუსტინი და კოზნეცოვი. მაკევი ვერ შეიწყო ნაკრებს, კაპუსტინს მეტი მუშაობა სჭირდება ადგილის შესანარჩუნებლად. დიდ იმედებს გამოვთვლით ხომიჩუსზე. არადა, ორი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში ხომიჩუსი საკუთარი გუნდის შემადგენლობაში მოედანზე არ გამოსულა. მას ჩვენ მხოლოდ ამ ტურნირში მოგვარით თვალი. ბუნებრივია, ჩვენ არ შეგვიძლია ნაკრებში ავიყვანოთ კალათბურთელი, რომელიც ჩემპიონატში არ ააპარებოდა.

როგორც ჩანს, დებულებაში უნდა შევიტანოთ პუნქტი, რომ ნაკრების წევრებმა საკავშირო ჩემპიონატის ნებისმიერ მატჩში 20-25 წუთი მინიმუმ დაჰყონ მოედანზე.

და ბოლოს, ეღეშკოსა და მილოსერდოვის შესახებ. ეს გამოცდილი კალათბურთელები კვლავ ჩვენი მთავარი გუნდის აქტივში რჩებიან.

საუბარი ჩაიწერა  
ა. ხუბუაშვილმა.

### ა. შიროვის პირობა ადგილი

ხანმოკლე შესვენების შემდეგ განახლდა სამთბოთხილაპურთა მსოფლიო თასების გათამაშება. მორიგ ტურში ვაჟები ლენგრისში (გფრ) სლალომში ეკვიბრბოდნენ ერთმანეთს, ხოლო ქალები პტრონტენში (გფრ) ასპრეზობდნენ სწრაფდაშვებაში.

სლალომში სენსაციას სენსაციას მოსდევდა. საქვეყნოდ აღიარებული ოსტატებიდან ერთადერთი მსოფლიო თასის მრავალჯერის მფლობელი, შვედი ი. სტენმარკი იყო, რომელმაც საპრიზო სამეულში შესვლა შეძლო. მან აბას მეორე ცდაში თავბრუდამხვევი სისწრაფით მიადგა. პირველი ცდის შემდეგ მას მხოლოდ XVII შედეგი ჰქონდა. საბოლოოდ სტენმარკის მაჩვენებელია 1:36,92.

ყველას აჯობა 20 წლის ბელგარელმა პ. პაპანელოვმა — 1:36,17. სამტოთა ოსტატი ა. ეროვი (მოსკოვის ოლქი) შესანიშნავად დაეშვა. ორივე ცდაში სტაბილურად იასპარეზა და II ადგილი დაიკავა — 1:36,66.

ქალებმა სწრაფდაშვების ტრასაზე ორჯერ იასპარეზეს. პირველდღეს 2080 მეტრი ყველაზე კარგად გაიარა მსოფლიო თასების მრავალჯერის მფლობელმა, წყევინდელი ტურნირის ლიდრმა ა. მონტეპარიოლმა (ავსტრია) — 1:19,84. მომდევნო ადგილები ურგოთ ასევე ფაგორიტებს — მ. ნაიდგას (შვეიცარია) — 1:20,20 და პ. ვენცელს (ლიტენშტეინი) — 1:20,58.

მეორე დღეს ნაიდგა შეძლო რევენშის აღება — 1:21,22. II ადგილზე გავიდა ასევე ავსტრიელი პრიოლი, მაგრამ არა ანემარა, არამედ მისი და კეტრინი — 1:21, 41. მონტეპარიოლს (1:21,77) შეეცარებოდა დე ავსტინიმა აჯობა — 1:21,60.

ამ ეტაპის შემდეგ საერთო

ჩათვლაში თასის გათამაშებას ორი ლიდერი ჰყავს: მონტეპარიოლი და ნაიდგა. თითოეულს 150 ქულა დაუგროვდა. ვენცელი III ადგილზეა — 139 ქულა.

### ყველა პრიზი — ნორვეგიელებს

ასტალროტო (იტალია), ნორვეგიელებმა მთბოთხილაპურელებმა ლიდი წარმატებით იასპარეზეს აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 30 კმ რბოლაში. პრიზიორთა შორის მოხვდნენ ლ. ე. ერიკსონი (1:26,55), უ. აუნლი (1:26,56,7) და ი. ლუნდელი (1:27,25,4). ამ სამეულს კონკურენციას უწევდა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონი, პოლონელი ი. ლუშჩევი, რომელიც მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა — 1:27,54,29.

### მასკინელები კანდიდატს ეძებენ

ლიაკ-პლესილის 90-მეტრიან ტრამპლინზე ორ დღეს გაგრძელდა აშშ-ს „ფინიანგ მთბოთხილაპურეთა“ მორიგი შესარჩევი შეჯიბრება, რომელმაც ნაკრების მეოთხე კანდიდატი უნდა დასახელოს. როგორც ცნობილია, ქვეყნის ნაკრებში 3 ადგილი ეკუთვნით ჯ. დენისს, კ. მაქნაისს და ჯ. ბრაუნს. ვინ იქნება მეოთხე? ამას უკანასკნელი სტარტები ვადაწყვეტს. სწორედ მეოთხე აჯუტურის მაძიებლები ახდენდნენ „სასწაულებს“ შაბათსა და კვირას გამართულ სტამბებში.

შაბათს წინა ოლიმპიადის მონაწილემ, 29 წლის ჯ. მეიკმა (იგი სარბიელს 2-წლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა) 102 და 104 მეტრზე იფრინა, 219,8 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა (ცოტა ადრე მანვე იმარჯვა 70-მეტრიან ტრამპლინიდან სტამბაში). II ადგილი ერგო

ჯ. გრეიპეს — 217,7 (ნახტომები 106 და 101 მ).

კვირას ბადალი არ ჰყავდა 23 წლის ვ. მამლეისტს. იგი აშშ-ს ოლიმპიური გუნდის წევრია. ოლიმპიურ რბოლაში მან ბევრი სტამბის სპეციალისტი ჩამოიტოვა. მამლეისტმა საწვრთნო დაშვებაზე 108 მეტრი „იფრინა“ (ეს შედეგი 7 მეტრით ჩამორჩება ტრამპლინის რეკორდს, რომელიც შარშან თებერვალში ფინელმა პ. კონენმა დაამყარა), პირველ ცდაზე 109 მეტრი აჩვენა, მეორე 104 მეტრზე გადახტა და 231,6 ქულას მოუყარა თავი. II და III პრიზიორებმა, ს. კლეიტონმა და რ. ზულკემ ფრენის სიშორეში ერთმანეთს ტოლი არ დაუდგეს — ორივემ I და II ცდაზე 104 და 103 მეტრი აჩვენა, მაგრამ სტილში კლეიტონი სივრცით და მეორე ადგილი მას დარჩა.

### განხილვა „ლელო“

500 მეტრზე ცივურებით რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენი ე. კულიკოვი და სპრინტში მსოფლიოს მრავალჯერის ჩემპიონი, ამერიკელი ე. პაიდენი მომავალი ზამთრის ოლიმპიური თამაშების მთავარი ფავორიტებად ითვლებიან ყველაზე მოკლე მანძილზე რბენაში. მათი წლიგანდელი შედეგები ნათლად ადასტურებენ, რომ ერთი და მეორეც ლეიკ-პლესილის სტარტებისთვის საუკეთესო სპორტულ ფორმაში იქნებიან. მართალია, სხვა ქვეყნების სპრინტრებიც არ კარგავენ იმედს, მაგრამ სპეციალისტები ვარაუდობენ იმეათად ცდებიან. ისინი კი უპირატესობას სწორედ ჰეიდენსა და კულიკოვის ანიჭებენ.

ამ ფოტოებზე სწორედ მომავალი ოლიმპიადის მოცეკვრავთა შეჯიბრების მთავარ მოქმედ პირებს, ე. კულიკოვსა (მარცხნივ) და ე. ჰეიდენს ხედავთ.

საკლესის ფოტოები.

### ● ფანჯურთი

#### „ნედელიას“ პრიზი

23-დან 28 იანვრის ჩათვლით მოსკოვში, საფეხბურთო-მძლეოსნური მანქანის ხელფურთა გზონზე გაიმართება ფეხბურთელთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი ყოველკვირეულ „ნედელიას“ პრიზზე. ასპარეზობაში 6 სამტოთა და 4 უცხოური გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ყოველდღე 4-4 შეხვედრა ჩატარდება. მათ ერთდროულად 7 ათასამდე მაყურებელი დაუქრება.

პირველ ქვეჯგუფში ითამაშებენ მოსკოვის „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“, ტაშკენტის „ფახთაქორი“, ფინეთისა და უნგრეთის გუნდები. მეორეში — ცსკა, ალმათის „ჩაირათა“, ლვოვის „კარპატი“, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის გუნდები.

### ● ფარიკაობა

#### მუშაკატრთა რაზმის სათავეში

კოლმწიფი გაზეთმა „მშველონდ სპორტოვამ“ გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესო მოფარიკავეთა სია გასული სეზონის შედეგების მიხედვით. რანგთა ტაბელის შედგენაში მოცემულია ყველა საერთაშორისო ტურნირის მაჩვენებლებით.

აი სამეოლები. ქალები. ვ. სილოროვა (სსრ კავშირი), კ. პანიში (გფრ), ე. ბელოვა (სსრ კავშირი). ვაშაშვი. რაპირა. ა. რომანკოვი (სსრ კავშირი), პ. ქოლიო, დ. ფლამანი (ორივე-საფრანგეთი); ხმალი. ვ. ნაზიმოვი, ვ. კროვოპუსკოვი, მ. ბურკევი (ყველა — სამტოთა კავშირი); დაშა. ფ. რიბუ (საფრანგეთი), ე. კოლცონი (უნგრეთი), ა. აბუშახმეტოვი (სამტოთა კავშირი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში სამტოთა ნაკრებს 129 ქულა აქვს. II ადგილზეა საფრანგეთი — 52, III — უნგრეთი — 51,5.

### ● ჩოგბურთი

#### ვილანის გამარჯვება

მალაურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი წილის მეორედ მოიგო ცნობილი არაგენტინელი ოსტატმა გ. ვილანამ. მან ფინალში სძლია ამერიკელ ჯ. სადრისს — 7:6, 6:3, 6:2.



ჩოგბურთის მარცხი

ლონდონი. აქ გამართულ ყველა შორის მსოფლიო ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში გაიმარჯვეს ბ. გოტფრიდმა (აშშ) და რ. რამირესმა (მექსიკა). გადამწყვეტ მატჩში მათ სძლიეს მეორე ინტერნაციონალურ დუეტს, გასული წლის მსოფლიო ჩემპიონებს, ვ. ფიბაკს (პოლონეთი) და ტ. ოკერს (პოლანდია) — 3:6, 6:4, 6:4, 4:6, 6:3. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ ისეთი ცნობილი ჩოგბურთელები, როგორც არიან ბორგი (შვეიცარია), კონორსი და მაკინრო (ორივე — აშშ).



პალრაკი გამარჯვებით აჯობა

„ბურბუხინის“ რესპუბლიკური საბჭოს მოჭარავე ვაჟთა ჩემპიონატი ერთნაირი შედეგით დამთავრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა ი. ცეტიშვილმა და თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსმა ინჟინერმა, ოსტატობის კანდიდატმა ე. ვეფხვიშვილმა — 10,5-10,5 ქულა. მაგრამ სტუდენტ მოჭარავეს მეტი მოგებულ პარტია

აღმოჩნდა და ჩემპიონად იგი გამოცხადდა.

III ადგილი ხვდა ჯაერთიანება „ელვის“ ინჟინერს გ. ცეტიშვილს — 9,5.

სამივე მოჭარავე მონაწილეობას მიიღებს „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ნახევარფინალში, რომელიც 25 იანვრიდან ჩატარდება სიმფეროპოლში.

### 2. ტაშაუჩაბა,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჰალარაის სპეციალიზაციის II კურსის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი.

# ოლიმპიური წლის პირველი ჩემპიონები

საპროგრამო მძლეობის ცხოვრებაში სსრ კავშირის ხალხთა VII სპორტაქციის შემდეგ ერთგვარი შესვენების პერიოდი აღდა, პერიოდი განსჯისა და ფიქრისა. რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა მოსკოვის სტარტებში მათ შედეგები სამართლიანად მაკმაყოფილებლად შეაფასა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ „სპორტის დედოფლის“ განვითარების საქმეში ფიზიკურ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებებს, საბჭოების, მწვრთნელების საზრუნავი არაფერია ჰქონდათ. პირიქით, გასული სპორტული სეზონის მზარდი შედეგები, ოსტატა რიგების მანამდე არახეული მატება ყველის ავალბდა აღებული ტემპის კიდევ უფრო გაზრდისთვის ეზრუნათ.

ჩვენი რესპუბლიკიდან ქვეყნის მძლეობის ოლიმპიური ნაკრების 3 კანდიდატი, აღრიცხვითან შედეგებით ეს ცოტა როდია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს სხვებისთვის ნაკრების კარები გადარაზული იყოს — ტალანტებს მუშაობა შეუძლიათ შედეგით გაიშალოს სხვები. ამიტომაც ყველგან სპორტაქციის დამთავრებისთანავე მუშაობა ამ მიმართებით გაიშალოს.

რა თქმა უნდა, არც ჩვენთან ყოფილან გულელდაკრეფილნი, მაგრამ როგორც მათთან-კვირას თბილისში, „განთიადის“ მძლეობის სასახლეში გამართულმა საკავშირო თანხის გათამაშებმა საკავშიროს ზონალურმა ტურნირმა (იგი ამავე დროს რესპუბლიკის ზამთრის პირადი ჩემპიონატი) ცხადყო, იმ 3 კანდიდატთ (გ. სანეივი, ს. გუნაძე, ლ. ლაბაძე) უნდა დაეკმაყოფილებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს ალ-

ინიშნოს, რომ „არდადეგები“ ჩვენს სპორტსმენებს, მწვრთნელებს მაინცდამაინც უქმად არ გაუტარებიათ. თუ შარშან საქართველოს სპორტკომიტეტის მანქანაში ჩატარებული ამგვარი ასპარეზობისა და წლებადღობის ტურნირის გამარჯვებულთა შედეგები შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ უმეტეს სახეობებში ახლა უკეთესი მაჩვენებლები მოაბოვებს ჩემპიონებმა. ეს უპირატესობა უმეტესად ქალთა წილად მოდის. მათ პროგრამის 9 სახეობიდან ექვსში გააუზრუნველეს შარშანდელი მიღწევა, ორ შემთხვევაში გააუარესეს (1500 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე სტომაში) და ერთშიც (60 მეტრზე რბენაში) შარშანდელ დონეზე დარჩნენ.

ვაქვითან სხვა სურათია — 6:6 (1) ე. ო. ექვს შემთხვევაში შედეგები გაუჭირბესდა, ექვსში — გაუარესდა, ერთში უცვლელი დარჩა. ვეთა წლებადღობის ტურნირის უპირატესობა ის თავიანთი, რომ ჩემპიონი 3000 მეტრზე რბენაშიც გამოვიდა.

ვაქვითან შარშანდელი პოზიციები დათმეს სპრინტში. 1500 მეტრზე რბენაში, ჭოკით და სიგრძეზე სტომაში, 10 კმ სპორტული სიარულში. სიმაღლეზე სტომაში თბილისელმა ოსტატმა გ. საეჩენკომ ორივეჯერ 205 სმ დაიწია. დანარჩენ 6 სახეობაში წლებადღობის გამარჯვებულმა გაცილებით მაღალი შედეგები მოაბოვეს.

მაგალითად შარშან 400 მეტრზე მანარაძემ ვ. ანტონოსიანმა 53,7 აჩვენა. წელს თბილისელმა ა. ალიევმა ამავე მანძილის გარბენას 50 წამი მოახლოვა. 800 მეტრზე ვ. ფედოროვის გასული წლის შედეგი (2.03,2) ო. ციკუ-

ლივმა 7,2 წამით გააუმჯობესა. მაგრამ მაინც, სინაულთით უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის მონაწილეებიდან სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგი ორმა, პირველი თანრიგისა კი 29 მძლეოსანმა აჩვენა, პირველობისთვის კი 11 ოსტატი და უფრო მეტი სპორტის ოსტატობის კანდიდატი იბრძოდა.

ყველაზე მასობრივი ვაქვითან სიგრძეზე სტომა და 800 მეტრზე რბენა იყო. ეს კარგია, მაგრამ ტურნირის ჩრდილი მთაყენა იმან, რომ რიც სახეობაში სტარტზე 1-3 სპორტსმენი გამოვიდა.

სასახლის დირექციას, მსავალი კოლეჯის ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის არაფერი დაუშურბია. მათი გარჯა ერთგვარად გააუფრულა ზოგიერთი მწვრთნელის, არბიტრის საქციელში — ისინი სარბიელზე ყოველდღიური ტანსაცმლით საქმიანობდნენ. დახურულ სარბიელზე ეს დაუშვებელია.

შესაძლოა ტურნირი უფრო საინტერესო, უფრო დაძაბული ყოფილიყო, რომ ქალაქის ფიზიკურ კულტურის კომიტეტის, სპორტსაზოგადოებების, სპორტკომიტეტის ასპარეზობით სათანადო დახმარება გამოეჩინათ და თავიანთ ათლეტთა გამოსვლებს დასწრებოდნენ.

ორლიან ბრძოლაში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: თბილისი — 167 ქულა, ბათუმი — 99, ქუთაისი — 75, რუსთავი — 44, სოხუმი — 41, ცხინვალმა გუნდი ვერ გამოიყვანა.

პირადი ტურნირის ტექნიკური შედეგები ასეთია:

**პალმები. რბენა. 60 მ. 5. ლე-გტიაროვა** (თბილისი, „სპარტაკი“) — 7,7, მ. აზარაშვილი (თბილისი, „კოლმეურნი“) — 7,8, მ. ხიდაშელი (თბილისი, „დინამო“) — 8,1; **100 მ. ო. ვიქტორია** (სოხუმი, „მრ. რეზერვეტი“) — 12,5, ხიდაშელი — 13,2, ს. პასტოპოლო (ბათუმი, „დინამო“) — 14,8; **400 მ. ვიქტორია** — 59,8, ე. გუჩმაზოვა (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 1,00,2, ნ. ნოვოსელოვა (ბათუმი, „დინამო“) — 1,01,6; **800 მ. გუჩმაზოვა** — 2,20,2, ზ. სერგიოვა (თბილისი, „განთიადი“) — 2,32,6, ო. კანდელაკი (ბათუმი, „დინამო“) — 2,43,6; **1500 მ. სერგიოვა** — 5,17,5, ა. ლუტოვა (რუსთავი, „განთიადი“) — 5,17,6; **60 მ. თარგაძე** ო. ვერშინინა (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 9,3, ო. ლუშინა (თბილისი, „სპარტაკი“) — 9,8, ტ. სობოლევა (ბათუმი, „დინამო“) — 11,5; **სიმაღლეზე სტომა. ა. ალიკინსკაია** (თბილისი, ასკ) — 170, ე. გოლოვკოვა (თბილისი, „სპარტაკი“) — 160, ო. ნიკოლაევსკაია (სოხუმი, „ბურევესტნიკი“) — 150; **სიგრძეზე სტომა. ლ. აბიკევა** (ბათუმი, „დინამო“) — 5 მ. მ. ცხიარული (თბილისი, „სპარტაკი“) — 489; **პირთვის კვრა. ნ. ლაბაძე** (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 14,82, მ. ფიცხალავა (სოხუმი, „ბურევესტნიკი“) — 10,25, ე. აბრამოვა (ბათუმი, „დინამო“) — 9,52.

**პალმები. რბენა. 60 მ. გ. ბა-ლაშვილი** (თბილისი, „კოლმეურნი“) — 6,8, ბ. გოციორიძე (თბილისი, „მრ. რეზერვეტი“) — 6,9, ე. მთავარია (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 6,9; **100 მ. ბ. მე-ქვაბიშვილი** (თბილისი, „დინამო“) — 10,7, გოციორიძე — 11,0, ე. სელოხოვი (თბილისი, „დინამო.“)

— 11,2; **400 მ. ა. ალიკინი** (თბილისი, ასკ) — 50,0, რ. ქობულაძე (ქუთაისი, „დინამო“) — 54,1, მ. ზონთაძე (ბათუმი, „დინამო“) — 54,1; **800 მ. ვიქტორია** — 1,56,4, ა. სობოლევი — 1,57,4, ე. ბარაბაში — 1,57,6; **1500 მ. ა. ხარაზიშვილი** — 4,03,0, ე. ფილოლოვი (ყველა — თბილისი, ასკ) — 4,03,6, ა. სოლოვიოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 4,04,2; **3000 მ. შაბოვალი** (თბილისი, ასკ) — 3,36,0, ე. მე-ლქუევი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 3,43,2; **ფილოლოვი** — 3,45,6; **თარგაძე. 60 მ. ლ. ლაბაძე** (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 8,2, დ. კალაძე (რუსთავი, „განთიადი“) — 8,3, ო. წიკლაური (თბილისი, „კოლმეურნი“) — 8,5; **110 მ. ბლიაძე** — 15,0, კალაძე — 15,5, გ. ივანოვი (თბილისი, „დინამო“) — 16, 2; **სიმაღლეზე სტომა. გ. საეჩენკო** (თბილისი, „დინამო“) — 205, ე. გოლოვოვი (თბილისი, „განთიადი“) — 195, დ. კუჭანოვი (თბილისი, „სპარტაკი“) — 195; **სიგრძეზე სტომა. გ. ჩალუნელი** (თბილისი, „დინამო“) — 210, გ. გუ-ჩინი (თბილისი, „განთიადი“) — 702, ა. ნერსისიანი (თბილისი, „დინამო“) — 702; **სამხტომი. მ. ფრიშმანი** (თბილისი, ასკ) — 15,31; **ბ. კოვალი** (თბილისი, „დინამო“) — 15,00, ა. სხირტლაძე (თბილისი, „სპარტაკი“) — 14,39; **ჭოკი. ე. ამოსოვი** (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 420; **პირთვის კვრა. გ. მიქაძე** (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 15,96, **10 კმ სპორტული სიარული. ზ. ჭუბინი** (თბილისი, ასკ) — 43,57,3, ე. ურუშაძე (თბილისი, „სპარტაკი“) — 44,50,2, ე. პეტ-როვი (რუსთავი, „განთიადი“) — 46,39,7.

**ო. ივლიანი.**


## მოსწავლეთა არდადეგების დღეებში

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში თბილისის სპორტული ბაზენი უმეტესად მოზარდი თაობის განკარგულებას იყო. ისინი სხვადასხვა რანგის ტურნირებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კალათბურთში, ბადმინტონში, ცურვაში, შაშხში, მაკიდის ჩოგბურთში... მიუხედავად კომ-ლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარება, გაიმართა სამთო-ტური-სტული ლაშქრობა. მინი-ფეხბურ-თში ფინალური შეჯიბრება 13 იანვარს დედაქალაქის სპორტის სა-სახლეში მოეწეობა.

დედაქალაქის ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლების მოსწავლეთა კოლექტივებთან ერთად რიც სა-ხეობებში მათი მშობლებიც ცდი-დნენ ძალეებს.

ამ ფოტოზე აღბეჭდილია ვ. ო. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში კალათბურთში ელექტ-როპარატების ქარხნისა და „დი-ნამოს“ I ქაბუთა გუნდების შე-ხვედრის მომენტი.

ე. ხუცურაულის ფოტო.



მაღალი სპორტული შედეგი — აი ძირითადი ამოცანა, რომელსაც წვრთნის პროცესი ისახავს. წვრთნა მეტად რთული პედა-გოგიური, ფიზიოლოგიური, ფსი-ქოლოგიური და ორგანიზაციული პროცესია. იგი თანამედროვე მე-ცნიერების მიღწევებს უნდა ეყუ-რებოდეს.

მხოლოდ ემპირიული მეთო-დებით წვრთნის მეტწილად არა-სასურველი შედეგი მოქმედს. სპო-რტის თითოეული სახეობაში წვრთნა ხასიათდება რიგი თავი-სებურებებით, მაგრამ თანამედრო-ვე სპორტის ყველა სახეობისთვის საერთო მაინც ის არის, რომ დღეს სპორტსმენს ესაბირობება საუკეთესო საერთო და სპეცია-ლური ფიზიკური მომზადება და ფსიქოლოგიური მზადყოფნა.

ნებელბობით თვისებების გა-მომუშავება ერთ-ერთი ძირითა-დი ამოცანაა. და მისი გამომუშა-ვება უნდა ხდებოდეს წვრთნის პროცესში, თვით სპორტსმენის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოვე-ლივე ზემოაღნიშნული კარგადაა ცნობილი სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის, ჩვენი რეს-პუბლიკის სინამდვილეში არც თუ იშვიათია ისეთი სპორტული შე-დეგები, როგორიც ობიექტურად არსებულ შესაძლებლობებზე და-ბალია.

სამწუხაროა არა ის ფაქტი, რომ მარცხდება გუნდი ან ცალ-კეული სპორტსმენი, არამედ ის, რომ სპორტსმენები და მწვრთნე-ლები ვერ ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების რაციონალურ-ად გამოყენებას და შეჯიბრებებ-ისთვის ღირსეულად მომზადებას. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი სპორტსმენები ხშირად კმაყოფილებიან ერთ სეზონში მიღწეული მაღალი შედეგებით და ნაკლებად ზრუნავენ შემდეგში მის გაუმჯობესებაზე.

აღნიშნული საკითხი მეტად რთული პრობლემაა. მისი გადაჭ-რა მოითხოვს კომპლექსურ მიდ-გომას, რომლის ერთ-ერთი შემო-დგენელი ნაწილია სამედიცინო პოზიციებიდან სპორტსმენთა მომ-ზადებაზე ყურადღების გამახვილ-ება.

დღეს ყველა მწვრთნელმა და სპორტსმენმა იცის, რომ წვრთნის დაწყება დაკავშირებულია სპორ-ტსმენის საექიმო შემოწმებასთან. სპორტსმენთა თანამედროვე გად-რმავებულ საექიმო შემოწმებას, ანუ როგორც მას უწოდებენ დის-პანსერინაციას, ფაქტობრივად, სპორტსმენები წელიწადში ერთ-ხელ გადაიან. შემდეგ კი იწყება წვრთნა, რომლის პროცესში სპორტსმენთა უმეტესი ნაწილი განმეორებით გადრმავებული საე-

ქიმო შემოწმებისთვის თავს აღ-არ იწუხებს. სამწუხაროა ისიც, რომ უმრავლეს შემთხვევაში სპორტსმენთა წვრთნისა და შეჯ-იბრების სხვადასხვა ეტაპზე არ ხდება მათი ფიზიკური მომზადებ-ის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენე-ბლის — ფიზიკური მუშაობის უნარის დადგენა, რაც წვრთნის რეგულაციის ერთ-ერთი ობიექტ-ტური საშუალებაა. ხშირად, რო-დესაც უფრო უფრო თვით კვა-ლიფიკაციური მწვრთნელები მსჯე-ლობას, აშკარად ჩანს როგორ არ-ასწორად ხდება მათ მიერ სპორ-ტსმენის მომზადების დონის შე-ფასება. ასეთ აღმზრდელებს ავი-წყდებთ ძირითადი სპორტსმენის ორგანიზმის ფუნქციური შესა-ძლებლობა იმ მომენტში, როდეს-აც მას შეჯიბრებაში გამოსვლა უხდება.

### ● საცივალის ტრიზუნა

## მაღალი სპორტული შედეგებისთვის

ავილოთ, მაგალითად, სპორტს-მენის გულის მდგომარეობა. და-დგენილია, რომ თუ სპორტსმენს წვრთნის პროცესში ერთ გარკვე-ულ მომენტამდე (1200 სმ-მდე) თანდათანობით ეზრდება გულის მოცულობა (მიიღება შრომითი პიკეტროფია), შესაბამისად წა-რმოება მისი ფიზიკური მუშაო-ბის უნარის გაზრდა.

მაგრამ ხდება ისიც, რომ სპო-რტსმენის გულის კუნთს ფუნქციური შესაძლებლობის გამო არა აქვს უნარი წვრთნის პროცესში მოიმატოს მოცულობაში და, შე-სატყვისად, გაზარდოს თავისი ფიზიკური მუშაობის უნარი. ამ დროს მწვრთნელი მაინც დაჟინე-ბით მოითხოვს ასეთ სპორტსმე-ნისგან გაძლიერებულ წვრთნას, რაც ხშირად არასასურველი შე-დეგით — გადაძაბვით, გადაწვრ-თნით ან რაიმე პათოლოგიის გა-ნვითარებით მთავრდება. ყოველი-ვე ეს ხდება იმიტომ, რომ სპო-რტსმენებზე ჯერ კიდევ არ არ-ის დაწესებული ის საჭირო საე-ქიმო კონტროლი, თანამედროვე წვრთნას რომ ესაჭიროება.

სამწუხაროდ, ჩვენს რესპუბლი-კაში ჯერ კიდევ არ არის შექ-მნილი მუშაობის ის აუცილებე-ლი პირობები, რომელიც თვალ-საჩინოდ გააუმჯობესებდა სპორ-

ტსმენთა სამედიცინო უზრუნვე-ლყოფის საქმეს.

ძირითადი, ამ მიმართებით პი-რველი რიგში დიდი მუშაობის ჩა-ტარება მართებთ საექიმო ფიზი-კულტურის დისპანსერებს, რომ-ლებსაც, პირდაპირ უნდა ითქვას, რესპუბლიკის ჯანმრთელობის და-ცვის სამინისტრო ჯერ კიდევ ნა-კლებად ემზადება, მაგრამ თვით საქართველო სპორტკომიტეტის უწყებებში არსებული ორგანიზა-ციების (სპორტსკოლების) სამედი-ცინო კაბინეტებიც არახელსაყრ-ელ პირობებში მუშაობენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის მეტად სამწუხარო ფაქტი, რო-მელმაც ალბათ სხვა ფაქტორებ-თან ერთად გადაწყვიტა ჩვენი რესპუბლიკის მიერ სსრ კავშირის ხალხთა VII სპორტაქციადაც საე-რთო VIII ადგილის დაკავება.


სმენთა სამედიცინო უზრუნველ-ყოფის საკითხების გადაწყვეტის დროს მოქმედებენ სპორტული ავტორიტეტების (მწვრთნელების, პედაგოგების, თვით სპორტსმენ-ის და სხვ.) შეხედულებით და ანაგარიზ არ უწყვეტ, მაგალითად, სპორტული მედიცინის ფედერა-ციას ან სპორტული მედიცინის და სამეურნალო ფიზიკულტურის სამედიცინო რესპუბლიკურ სა-ზოგადოებას, რომელიც საექიმო ფიზიკულტურის საკითხებში ფაქ-ტურად წარმოადგენს როგორც რესპუბლიკის ჯანმრთელობის და-ცვის სამინისტროს, ისე საქარ-თველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი სა-კონსულტაციო ორგანოს.

იმის გამო, რომ მწვრთნელთა უმრავლესობა არ ავლენს ინტე-რესს ექიმებთან ერთობლივ მუშა-ობაში, შესაბამისად საექიმო ფი-ზიკულტურის დისპანსერებზე შე-ცვალეს თავიანთი მუშაობის ტაქ-ტიკა, განსაკუთრებით წვრთნის რეგულირებაში, რაც დროულად გამოსწორებას მოითხოვს.

ექიმები ცდილობენ ხოლმე მო-მარაგონ სპორტსმენები ე. წ. სა-კვები პრეპარატებით (ცილოვანი პროდუქტებით, ვიტამინებით და ა. შ.) რომელთა, როგორც ბიო-ლოგიურ სტიმულატორებს, თანა-მედროვე სპორტში გამოყენებას, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ პრეპარატებს მხოლოდ მაშინ მო-აქვთ სარგებლობა, როცა სპორტ-სმენი კარგად არის ყოველმხრივ მომზადებული. უნდა გახსოვდეს, რომ მომზადებული სპორტსმენის სპორტულ შედეგს გერაიოთარი ბიოლოგიური სტიმულატორი ვერ გააუმჯობესებს, ამიტომ სპორტს-მენთა პრეპარატებით უზრუნველ-ყოფის საკითხი ყოველთვის რა-ციონალურად უნდა იყოს გადა-წყვეტილი.

მნიშვნელოვანად უნდა ამაღლ-დეს სპორტსმენთა შორის აღმ-ზრდელბობით მუშაობა, მათი შე-გნება და პასუხისმგებლობა იმ დიდი ამოცანის წინაშე, რომელიც თითოეულ მათგანს ეკისრება მომზადებისა და შეჯიბრების დროს. ყოველივე აღნიშნულის ცხოვრებაში დანერგვა მოითხოვს სპორტსმენთან დაკავშირებული ყველა სპეციალისტის ერთობლივ დაძაბულ მუშაობას. ნუ დაგავი-წყდებათ, რომ თანამედროვე სპორ-ტში სპორტსმენის მომზადების პროგრამა თვალსაჩინოდ არის გა-რთულებული.

**რ. სპინიშვილი,**  
რესპუბლიკის სპორტული მე-დიცინისა და სამეურნალო ფიზიკულტურის სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე.



დასტურა ეს მოსაზრება, თანაც მკაფიოდ, მთელი სიკრძალოდ. ეს მომენტი უთუოდ უნდა გამოვიყენოთ, პირველ ყოვლისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. „ურწმუნო თომებს“ თუნდაც შეკამათების საშუალება არ უნდა დავუტოვოთ. ახლა კი შევეცადოთ ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება გავზიაროთ.

რატომ ვერ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები სალაქე, მორჩილად ან ლეჟენა? პოპენციურ შეხედულებებში თუ გავითვალისწინებთ, მათთვის ეს ტიტული დიანაც არ უპრიანი. ჩემი ღრმა რწმენით, უპირველესი მიზეზი ისაა, რომ ჩვენი მწვრთნელების პროფესიული მომზადების დონე იდაბალია, ძალზე დაბალი. შეიძლება მკაცრად იყოს ნათქვამი, მაგრამ სიმართლეა და ვფიქრობ, სწორად გამოგებენ ისინი, ვისაც საქმეზე გული შესტკივა. გულახდილ საუბარს ყოველთვის მეტი სარგებლობა მოაქვს და მეც ყოველგვარი „მიკიბულ-მოკიბულის“ გარეშე მინდა ვთქვა, რაც უკვე საქმით ხანია მაწუხებს. ჩემიონობაზე და პირველობაზე ყველა სპორტსმენი ოცნებობს ქვეცნობიერად, მით უმეტეს, თუ

ზიანის მოტანა კი ნამდვილად შეუძლია. ახლა ვიკითხოთ, რამდენი ასეთი მწვრთნელი დასაქმებული ჩვენს სპორტში, კერძოდ კლასიკურ ჭიდაობაში? ზუსტი პასუხისთვის თავს ვერ გამოვიდებ, მაგრამ საგანგაშო რაოდენობასთან რომ გვაქვს საქმე, ეს ნამდვილად ვიცი.

ჩვენში, რატომაც, ერთი ცუდი სენი დამკვიდრდა: მოჭიდავეთა აღზრდა რა ბედნაოა და, ოღონდ სურვილი გაუჩნდეს ვინმეს, დატრიალება, აქეთ მოადგება, იქით მიადგება და... მწვრთნელობაც განადგობული აქვს. არადა, არც კი იცის, ჭიდაობა სასამელია თუ საქმელი. ასეთების იმედით შორს ვერ წავალთ. კაცს, რომელიც რაღაც მოსაზრებებით სრულიად უცნობს საქმეს ჭიდაობის ხელს, არ შეიძლება ამ საქმეზე გული შესტკიოდეს. ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: წაყრუებას არ ავისთვის და არასოდეს მოუტანია სიკეთე და ამას მიჩვეული კაცისთვის დღევანდელი საუბრის ტონი, სხვა თუ არაფერი, შეიძლება მოულოდნელი იყოს, შეიძლება ბევრიც განწყვიდეს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა ვუთ-

ისე წარმოებოს, როგორც აქამდე იყო. ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრამ დღემდე არცაა მოქმედი. ჩვენს იმის მწვრთნელებში, რომლებიც წინააღმდეგობა უწევს, ვერ ირჩებოდა ინსტიტუტში და მის ადგილს ისეთი კაცი იკავებს, ჭიდაობასთან თითქმის არავითარი კავშირი რომ არა აქვს. გასამართლებელი საბუთი ხელთა აქვთ: ვეტყვიან, ქიმიკი ან ბიოლოგია უთქვამთ ჩაბარაო, მაგრამ იმას რაღა ეუყვით, რომ ასეთები ინსტიტუტს რომ ამთავრებენ, ჭიდაობა ახლოსაც არ ეკარებოდა. ჩვენ მეცნიერ-სპეციალისტები ვეჭვობთ, მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითა ინსტიტუტმა ჭიდაობისთვის ერთი ჩამოყალიბებული მეცნიერ-მუშაკი ვერ მოგვცა. ქართული კაცს ნიჭი რამ წაართვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნიჭი ერებს ახლოს არ იკარებენ, აქიქა, კონკურენტი არ გავვირდნისო. ამ საქმეშიც უნდა ჩაიხედოს ვილაცამ.

ბარემ აქვე ჭიდაობის სამმართველოზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა, როცა რესპუბლიკის სპორტკომიტეტთან ჭიდაობის სამმართველო შეიქმნა. მაგრამ საქმემ წინ რომ წაიწიოს, პარტო ეს არ ემარა. სამმართველოს არსებობა საქმის ერთი მხარეა, მისი მოქმედების უნარი კი — მეორე, ალბათ უპირველესი. ჩემი აზრით, სამმართველოს მუშაკებს დიდი ნიჭი და უნარი არ გამოუჩენიათ. ძირითადად იმით კმაყოფილდებიან, რომ აქ, თბილისში გვეყავს კარგი მოჭიდავეები. ეს ციტას ნიშნავს. ვინ უნდა მიხედოს პერიფერიებს, მაღალმთიან რაიონებს. საქართველო იმხელა არ არის, რომ ვერ გავწვდეთ, გზა ვერ გავიკვლით. ჭიდაობის სამმართველომ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს ადგილებზე არსებული მდგომარეობა და დაისახოს მოქმედების კონკრეტული პროგრამა. რაიონებში ჭიდაობის ბევრი ქომავალი, ენთუზიასტი გვეყავს. მათ დანარება სჭირდება. ალბათ გახსოვთ ერთმა ტულოელმა ენთუზიასტმა როგორ მოაწყო საკუთარ სახლში საჭილაო ოთახი და ბიჭებს ჭიდაობა შეაყვარა. როგორც ვთქვამ, ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა იქნათ მოქმედებების დარბაზიც აუშენეს. აი, რა შეუძლია მონდობებს. ამ საქმეებშიც უნდა ჩაიხედოს ჭიდაობის მესწავლეებმა. თუმცა ეს რა სათქმელია, როცა ჯერჯერობით ჭიდაობის სამმართველოსა და ჩვენს ფედერაციას შორისაც ვერ გამოიხანა საერთო ენა. არადა, ერთი, სწორი მიმართულებების ასარჩევად ავტორიტას საჭიროა ჭიდაობაში დასაქმებული ადამიანების აზრთა გაზიარება, ხელახლა შეხედული მუშაობა. ჩვენ კი ზოგჯერ პირიქით ვამოყვებით; დღემდე ენერჯის წყრომან კინკლაობასა და პირად ანგარიშსწორებაში ვფლანგავთ. როცა საქმე რესპუბლიკის სპორტულ პრესტისზე ეხება, არავის არა გვაქვს უფლება ეს საქმე „ჩემად“ და „შენად“ დავყოთ და თვითმეტყუროთ.

რეზერვების მომზადების მხრივაც ბევრი რამ გვაქვს მოსავარდებილი. პირველყოფისა, გლდანის სპორტსკოლისა უნდა მივხედოთ. ეს სკოლა თანდათან კარგავს ავტორიტეტს — ცალკე მწვრთნელები წუწუნებენ. ცალკე აღსაზრდელთა მშობლები ჩივიან — გათბობა არ არის, საშხაპე არ მუშაობსო. ამ მოტივით ბევრი ინჟინერი ბავშვი გააბარუნეს უკან. მესტიიდან ან ხულოდან თბილისში რომ შევიდნენ გამოავაზენის, მშობელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ნორმალურად ისწავლის, ივარჯიშებს, იცხოვრებს.

ბოლოს ისევ ნაკლებს მინდა დავუთხრო. ჩვენს გუნდში კარგი მოჭიდავეებია თავმოყრილი, თანაც ახალგაზრდები არიან, პარტიისანი, შრომისმოყვარე ბიჭები. ნაყოფიერად მუშაობენ მწვრთნელები და ვითარებას ხელმძღვანელობით. მათ ბევრის გაკეთება შეუძლიათ ჩვენი სპორტისთვის, გავკეთებენ კიდევაც, თუ ყველანი მზარბი ამოვუდგებით. ხშირად მეკითხებიან, რამდენი „სპორტისკონსტრუქტორი“ გვყავს, რამდენი ოლიმპიურ გუნდში, მაგრამ ამ კითხვას ყოველთვის უპასუხოდ ვტოვებ. დავიცადოთ და ენახოთ!

# კალა უგუჯვდეს ქადილისა

სამართლმაც ასეა: როცა რომელიმე მტკუნველ საკითხზე პრინციპული მსჯელობის ეპი დებმა, ყოველთვის არსებობს საჭივე, თუ გნებავთ, მცდარი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. თუმცა ასეც რომ მოხდეს, მსგავსი შეცდომები საერთოდ გაჩუმდება (მოტივი: „ეს ჩემი საქმე არ არის, სხვამ იმტვირის თავი“) დიდ დანაშაულად მიიჭ ვერ ჩაითვლება.

ცნობილი ამბავია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ ათიოდე წლის წინ არსებულმა არაჩანსალმა ატმოსფერომ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაზეც უარყოფითად იმოქმედა. საქართველოს სპორტკომიტეტს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით ბევრი მუშაობის ჩატარება მოუხდა წაკლოვანებებს აომოსაფერგელად, თუმცა სპორტის განვითარებაში ადრე არსებული არასწორი ტენდენციის შედეგები ვერ აღდგო იმის თავს.

ყოველივე ეს ბუნებრივია, ჭიდაობის ქართულ სკოლასაც ეხება. ამ უბანზეც ვერჯერობით არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა და ამას რომ ვამბობთ, საფუძველიც ხელთა გვაქვს, თანაც იაუთი, ყველაზე ახანაობილი ოპონენტები რომ ექვს ვერ შეიტანს. აქ პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბოლო სპარაკიადის შედეგებია ნაგულისხმევი, შემდეგ კი სხვა დიდი თუ პატარა შეზღუდვები.

რა თქმა უნდა, მართებულია რ იქნება, ჭიდაობის ყველა სახეობის წა-

რმომადგენლებზე ერთი ტონით ვილაპარაკოთ. მაგალითად, იმავე სპარტაკიანზე ჩვენმა „კლასიკოსებმა“ კარგაი იასპარეზეს, თუმცა ეს შეფასებაც შეფარდებითია; ძიულოსიტები, განსაკუთრებით კი სამხისტები და თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ერთობ უჩიროდ გამოიჩინნ და ამ ფონზე „კლასიკოსთა“ გუნდური მეოთხე ადგილი უფრო დამაჯიკრბელი ჩანს.

როცა სპორტის ამა თუ იმ სახეობის განვითარების ტენდენციებზე ვსაუბრობთ, სხვა მრავალ გარემოებასთან ერთად, ერთი მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ: სპორტი, კერძოდ დიდი სპორტი, უწინარეს ყოვლისა შეიჭრება და შეუძლებელია მოდამ პირველობის პრიტიზონია გქონდეს. დღემა მომენტი, რომელსაც ჩვეულებრივ თათბათა ცვლის, ძალა-გამოცდილებით აღჭურვის პროცესს ეფხანა. მთავარია ამ პროცესის განზომიერება არ დაიორღვეს და დიდი, უმტკიანელოდ ჩაიაროს. ამგვარი სწრაფვა ახლა ხელშეახებდა შეინიშნება კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ბანაჟში და ეს ამბავი მისასაღმებელია.

ამ დღეებში რედაქციამ გვესტუმრა გამოჩენილი მოჭიდავი, მსოფლიოს ოთხჯისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე რომან რუშუა. ბუნებრივია, პირველად სიტყვა ახლად შექმნილ ფედერაციაზე ჩამოვარდა.

სრით ერთმანეთს სათქმელი, კოლეგიალურად, კაცური პირდაპირობით.

● როგორც წესი, საახალწლოდ, სპორტული უურნალობები სპეციალისტებთან ერთად რესპუბლიკის ათ საუკეთესო მწვრთნელს ასახელებენ. ამ ჩინაში კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელები ხშირად ვერ ხვდებიან...

— რადგან ასე ღრმად შევეტოვეთ, ბარემ ბოლომდე გავკუროთ. აღზრდა, პედაგოგია ძალზე რთული საკითხია. ალბათ შეუძლებელია მწვრთნელი პედაგოგიური ხელოვნების ყველა თეორიას ფლობდეს, მაგრამ აუცილებელია ძირითად ნიუანსებში საფუძვლიანად გარკვევა, რომ მთავარი არ შეგეშალოს და პიროვნების, სპორტსმენის ჩამოყალიბების პროცესი არ დაამხინჯოს. მე თავს ვერ გამოვიდებ, ამ საკითხებში განსწავლული ვარ-მეთქი, თუმცა, პრაქტიკაში, მოწინავე მწვრთნელებთან ურთიერთობაში ბევრი რამ მისწავლა და ვიცი, რომ სპორტსმენისთვის მწვრთნელის ავტორიტეტს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. შევირდს უნდა სჯერადეს ოსტატისა, უნდა ენდობოდეს მას. სხვაგვარად არაფერი გამოვა. ეს ნდობა რომ დაიმსახუროს, მწვრთნელი კარგი სპეციალისტი უნდა იყოს, პედაგოგი, ფსიქოლოგი, ამავე დროს მეგობარი და დამრიგებელი. აღმზრდელის სიტყვა ზოგჯერ პატივით სჭირდება სპორტსმენს. ავტორიტეტს ცოდნის დონე განსაზღვრავს უპირველესად. ამ ცოდნას ფიზკულტურის ინსტიტუტში უნდა ლებულ-ობდნენ მომავალი მწვრთნელები. სხვებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ კლასიკური ჭიდაობის სპეციალისტები რომ ვერ გამოდიან ხეირიანი, ამაში ხშირად ვრწმუნდები. ოთხი წელიწადი რომ ისწავლის კაცი და უშაბლეს განათლებას მიიღებს, სპეციალისტს ელემენტარულ საკითხში ვერ იტყვია. ჩვენ კი დღეს ნაღდი სპეციალისტები გვჭირდება, კარგ თეორიულ მომზადებასთან ერთად ადამიანებთან ურთიერთობის უნარი რომ გააჩნიათ. არ შეიძლება მწვრთნელთა მომზადების საქმე

## „კალენარი“ ინტერვიუ

— ჩვენი ფედერაცია ცალკე ამ სამიოდე თვის წინ ჩამოყალიბდა, პირადად მე ჭიდაობის ცალკეულ სახეობათა ფედერაციების შექმნა მართებულად მიმაჩნია. ჩვენი მიზანი ნათელია: სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად ოპერატიულად გადაჭრით კლასიკური ჭიდაობის განვითარებაში არსებული პრობლემები, ვიზრუნოთ მასობრიობისათვის. ხელი შევუწყოთ მწვრთნელების ტრენინგების გამოკონანში, მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაში. ისე კი, პრობლემები თვით ფედერაციასაც სარგებლოდ ბეგრის აქვს, მაგრამ ამას მივივლებ. ახლა მთავარია ყველა ამ ერთად მივიხედოთ საერთო საქმის.

● ხშირად მწვრთნელები წარუმატებლობას ტალანტების ნაკლებობას, წვრთნა-ვარჯიშისთვის აუცილებელი პირობების უქონლობას მიაწერენ. რა თქმა უნდა, ეს ვერაფერი გასამართლებელი საბუთია. ასე მხოლოდ ოპონენტებმა მსჯელობენ. პირიქით, ყოველწლიურად იზრდება მომეცადინეთა რიცხვი, უმჯობესდება ვარჯიშის პირობები, წარმატებათა ზრდის ტემპი კი ისევ და ისევ ვერ გვაკმაყოფილებს...

— მე იმათ მხარეს ვდგავარ, ვინც თვლის, რომ ჩვენი მერტი ჩემპიონები უნდა გვყავდნენ. აქ, პირველ ყოვლისა, ჩვენი ბიჭების პორტეფოლი შესაძლებლობებს ვითვალისწინებ. ეს უკლებილად მოსული აზრი არაა. ამაზე ხშირად ვთქვამ, ესაუბრობო მიკობრებთან, ჭიდაობის სპეციალისტებთან, უბრალო გულშემოკიდებრებთან და ყოველთვის ამ დასკვნამდე მივდივარ. საკითხირო მასშტაბით, ასე თუ ისე ჩინავართ, მაგრამ აი, როცა საერთაშორისო შეჯიბრებებზე მიდგება საქმე, იმედები თვალსა და ხელს შუა ჩრება. თუნდაც შარშანდელი მაჩვენებლებით ვილაპარაკოთ, მთელი რიგი საკავშირო შეჯიბრებებში, მათ შორის ხალხთა სპარტაკიანებზე, ჩვენმა „კლასიკოსებმა“ საკმაო გამარჯვებები მოიპოვეს. საქართველოს ნაკრების ძალა თვალნათლივ გამოჩნდა რუმინეთის ნაკრებთან გამართულ ამასწინანდელ ამხანაურ შეხვედ-

რაშიც. რუმინელთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია — ჩვენის ჩემპიონატებში საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც არ უდებენ ტოლს. სტუმრებმა თბილისშიც საუკეთესო შედეგები მოიპოვეს. ჩვენს ბიჭები ყველა წონით კატეგორიაში შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. იქ, სადაც მოგებას გვარაუდობდით — მოვიგეთ, სადაც წაგებას გელოდით — იქაც მოვიგეთ. შეიძლება ერთ ან ორ შეხვედრაში შემთხვევით გაიმარჯვო (ასეც ხდება ჭიდაობაში), მაგრამ, როცა მეტოქეს ასე „გაასწორებ“ მოწესთან“, ნათელი ხდება, რომ კანონზომიერი მოვლენასთან გვაქვს საქმე. იტყობა, მწვრთნელებმა „გასაღები“ მოუძებნეს მოჭიდავეებს — ნამდვილი ბრძოლისთვის განაწყოვეს. ჩვენს სპორტში, კერძოდ ჭიდაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემი სპორტული ბიოგრაფიიდან ერთ ეპიზოდს გაიხსენებ. საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიანებზე, ნახევარფინალში პირველთაირიგოსანს ეხვედრებოდა (გვარი არ მახსოვს). მაშინ საკმაო ტრავმები მქონდა, კარგ ფორმაშიც ვიყავი და ვიფიქრე, ამას ენერჯის ამ შეგარევი, ისე წავეჭიკრე-მეთქი. მწარედ შეიკვდი. მეტოქე ღირსეული გამოდგა და ეს შეხვედრა ორად ძლიერ და-გამთავრე. მისასაღმებელია, რომ ჩვენი მწვრთნელები აღსაზრდელ-ლებს ბრძოლის აინს, საკუთარი ძალების რწმენას უჩერავენ, თუმცა მათთან სადავოც ბევრი მაქვს.

● ხდება ხოლმე: ერთი კონკრეტული ფაქტი ფაქტის საბაზად იქცევა და მოვლენაში უფრო ღრმად გვახედებს. რუმინელებთან შეხვედრაც ასეთთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. თქვენი აზრით, რატომ ვხვდებით ასეთი, შეიძლება ითქვას, უცნაური ამბის მოქმენი — ჩვენი მოჭიდავეები „შინაურულ“ ტურნირებში იოლად ამარცხებენ აღიარებულ ფავორიტებს. მაგრამ შეჯიბრებების რანგის ზრდასთან ერთად წარმატებები იმდენი არა გვაქვს...

— ასეთი იმპროვიზი დიდი ხანია შეინიშნება. რუმინელებთან მატჩმა კი კიდევ ერთხელ დაა-

დარწმუნდა, რომ მუხის და მკლავი სხვაზე ნაკლებად არ ერთ ჩისი. ჩვენი გუნდის ლიდერებიც ოცნებობენ მსოფლიო აღიარებაზე. საკავშირო ასპარეზზე წარმატება, რა თქმა უნდა, ძნელიც არის და საპატიოც, მაგრამ საერთაშორისო სარბიელზე ვასვლის გარეშე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების დონის შეჯიბრებებში მონაწილეობის გარეშე, ბუნებრივია, ეს ოცნება განუზონრციებელია და რჩება. ქვეყნის ნაკრებში ადგილის დამკვიდრება ადვილი საქმე არ არის, მაგრამ მწვრთნელები ამაში ნუ ეძებენ გამართლებას. ბიჭები ისე უნდა მოვაშხადოთ, რომ გაუძლონ ამ კონკურენციას. მე საკმაო ხანს ვიყავი ქვეყნის ნაკრების წევრი და ვიცი, რომ ნაკრების ხელმძღვანელები ზოგჯერ სუბიექტურად უდგებიან გუნდის დაკომპლექტების საკითხს. ამიტომ საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ორჭოფობის საბაზი არ მივეცთ მათ. სხვაგვარად არაფერი გამოვივა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ-მეთქი რომ ვამბობ, ნამდვილ, პარტისან, უანგარო მუშაობას ვვულისებო. მაგრამ მარტო საქმის სიყვარული და ერთგულება არ ემარა. ნებისმიერი საღად მოაზროვნე კაცი (აუცილებელი არაა ჭიდაობაში ღრმად ჩახედული იყოს) შეამჩნევს, რომ დღევანდელ სპორტულ სამყაროში წვრთნის ძეგლი მეთოდები გამარჯვების იარაღად ვერ გამოდგება. ეს დილაქტიკური კანონზომიერებაა და სპორტში, ალბათ, ყველაზე ხელშეახებდა ვინდებდა. მწვრთნელი სიახლისთვის მზად უნდა იყოს, უფრო მეტიც, თვითონაც უნდა ცდილობდეს წვრთნის ახალი, პროგრესული მეთოდის შემოღებას და დამკვიდრებას. შეიძლება ასეთი სურვილი ბევრს ჰქონდეს და ეს კარგია, მაგრამ ინტელექტი? ინტელექტს რაღა ეუყვით? ამას წინათ ერთმა, საკმაოდ ავტორიტეტულმა მწვრთნელმა თავის ერთ-ერთ აღსაზრდელზე შემომხილა: რა გქნა, რა ვუყო ამ ბიჭს, არ ვიცი, ერთს ვუბრუნებ და მეორეს აკეთებსო. პირდაპირ ვიტყვი: ასეთი მწვრთნელისა მე არა მშაბს და ვერც იმას დავიჯერებ, რომ მისი „მუშაობა“ ჭიდაობას რაშიმე გამოადგეს. აი,

სრით ერთმანეთს სათქმელი, კოლეგიალურად, კაცური პირდაპირობით.

● როგორც წესი, საახალწლოდ, სპორტული უურნალობები სპეციალისტებთან ერთად რესპუბლიკის ათ საუკეთესო მწვრთნელს ასახელებენ. ამ ჩინაში კლასიკური ჭიდაობის მწვრთნელები ხშირად ვერ ხვდებიან...

სტუმარს ესაუბრა ელგუჯა გარიშვილი.

# კალათაშორთი

## გენკონკალი

### ბიზნეს-გაზეთი

**1979 წლის** საკალათაშორთო სეზონის იუგოსლავიის ნაკრებისათვის მარცხიანი გამოდგა. მან ვერ მოიგო ვერც ერთი დიდი საერთაშორისო ტურნირი: ევროპის ჩემპიონატი, უნივერსიადა, ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი, მმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩემპიონატი (საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში ისინი არ მონაწილეობდნენ). უკანასკნელ წლებში იუგოსლავიელებს ამდენი მატჩი არასდროს წაუგიათ: აშშ-სთან — 84:85, 75:87, 70:88, ისრაელთან — 76:77, საბჭოთა კავშირთან — 77:96, საბერძნეთთან — 62:66 და 74:85. ამას დაუმატრეტ მარცხიანი ტურნე აშშ-ში — 3 გამარჯვება და 8 დამარცხება. ადვილი ვასაგებია, რომ იუგოსლავიელთა ახალგაზრდა მწვერელო პეტარ სკანსი კრიტიკის ქარცხლში მოექცა.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ იუგოსლავიის ნაკრებს სათავეში ჩაუდგა, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაუბრუნდა გამოცდილი სპეციალისტი რანკო ჟერავიკა. იგი უკვე იყო იუგოსლავიის ნაკრების მწვერთნელი 60-იან წლების მიწურულს და 70-იანი წლების დასაწყისში. სწორედ ჟერავიკას ხელმძღვანელობით მიიღწიეს იუგოსლავიელებმა დიდ წარმატებას საერთაშორისო სარბიეობაზე. 1970 წელს ისინი გახდნენ მსოფლიო ჩემპიონები. მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ ჟერავიკამ დატოვა ნაკრები. ის წარმოუტეხებლად მუშაობდა კლუბებში. 1978 წელს ბელგრადის „პარტიზანი“, რომელსაც ჟერავიკა წევრთინდა, განდა იუგოსლავიის ვიცე-ჩემპიონი და კორაჩის თასის მფლობელი. იუგოსლაველი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ გამოცდილი ჟერავიკას ხელმძღვანელობით იუგოსლავიის ნაკრები წარმატებით იასპარეზებს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში.

გასულმა სეზონმა წარმატება არც იტალიის ნაკრებს მოუტანა. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ტრავმირებული იყვნენ წამყვანი კალათაშორთელები მარზორატი, დედა ფიორი და ბარბიერა. ცვლილება მოხდა „სკუდო-აპურას“ ხელმძღვანელობაშიც. გამოცდილი განკარგო პრამო უფროსი მწვერთნელის პოსტზე შეცვალა ალესანდრო გამბა.

**მ. კალანდიაძე.**

## «სკრსლსლ»

**სკორტული** ლატარების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სკორტოლოტს“ პირველი ტირაჟების შედეგები.

**„სკორტოლოტო 6-49“-დან:**  
პირველი: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიკნო, ექვსი ციფრის (შეღავთიანი ბურთულით) გამოცობისთვის (1 ბარათი) მოგება 3052 მანეთია, ხუთისთვის (16 ბარათი) — 2052, ხუთისთვის (შეღავთიანი ბურთულით, 7 ბარათი) — 76, ოთხისთვის (715 ბარათი) — 51, სამისთვის (15046 ბარათი) — 3.


**მეორე:** ექვსი და ექვსი (შეღავთიანი ბურთულით) ციფრები ვერავინ გამოიკნო. ხუთი ციფრის გამოცობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ხუთისთვის (შეღავთიანი ბურთულით, 6 ბარათი) — 125, ოთხისთვის (276 ბარათი) — 100, სამისთვის (6180 ბარათი) — 3.

**„სკორტოლოტო 5-86“-დან:**  
პირველი: ხუთი ციფრის გამოცობისთვის (11 ბარათი) მოგება 3712 მანეთია, ოთხისთვის (426 ბარათი) — 143, სამისთვის (15521 ბარათი) — 6.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (430 ბარათი) — 236, სამისთვის (13147 ბარათი) — 7.

## რედაქტორის მოადგილე

### ზ. ჯაფარაძე



# თქვენნი ხომ არ არის ის გოგონა?

**გუნდურ** თამაშებში წარმატება მხოლოდ კოლექტიურ მოქმედებას მოაქვს. ერთი ან ორი სპორტსმენის თავგანწირვა თანაგუნდელების მხარდაჭერის გარეშე ძალზე ხშირად წყლის ნაყვას ემსგავსება. ისეთ დიდ შეჯიბრებებში, როგორც, ვთქვათ, ახალგაზრდული თამაშები, ხალხთა სპორტაიოდებია, თუნდაც რამდენიმე სახეობაში კარგ გამოსვლას სხვათა წარუმატებლობა აუფერულეებს.

ჩვენ არცთუ იშვიათად ვამბობთ: „ქალთა შეჯიბრებაში“ „ქალებს შორის“. საბოლოოდ კი რესპუბლიკის სპორტულ სახეს, ჩვენი სპორტის დონეს ქალთა და ვაჟთა მიერ ნაჩვენები შედეგები, ამ შედეგების ჯამი განაპირობებს. თუ გულახდლინი ვიქნებით, ერთი უნდა ვაღიაროთ: რესპუბლიკის სპორტული სახელის სიმძიმე ძირითადად ვაჟების მხრებზეა. ჯადარაკსა და ახლანა პრაგმატის გზას დამდგარ მხატვრულ ტანვარჯიშს გარდა ქალები, სამწუხაროდ, მეტით ვერაფრით გვახარებენ.

ეს, რაც შეეხება სპორტს. უკეთესად არც ფიზკულტურაშია საქმე და საერთოდაც, ვერაფერი სახარბიელოა, რომ საქართველოში ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი ინტერესი კაცებში უფრო შეიმჩნევა. ამან, რა თქმა უნდა, შესაფერი შედეგებიც გამოიღო.

ბუნებრივია, მიზეზები არის და არა ერთი და ორი.

„ორი“ შეიღის დედა გახლავართ. გოგონამ წელს დაამთავრა სკოლა, ბიჭი კი ძნელად აღიარებელი გამოდგა. მე-9 კლასში გადავიდა, საშემოდგომო არ გამოპყოლია, მაგრამ აკადემიური მოსწრება რომ უფრო აგვემალეებინა, ოჯახურ საბჭოზე გადავწყვიტეთ, სპორტში ჩავყვება. ამით მი-

სი სუსტი ჯანმრთელობის გამოკეთებასაც ვფიქრობდით.

სპორტმა ვაიტაცა ჩვენი ვაჟიშვილი. შარშან რესპუბლიკურ პირველობაში...“

და ასე შემდეგ, მშობლები გადაე. გ-ბი იწერებთან თავიანთი ვაჟის სპორტში ჩაბმის შემდეგ გაჩენილ პრობლემებზე. წერილში სიტყვაც არ არის ნათქვამი გოგონაზე. „რომელმაც წლებულს დაამთავრა საშუალო სკოლა“.

მკითხველს რედაქციაში მოსულ კიდევ ერთ წერილს ვთავაზობთ:

„დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქვს მოგწეროთ. სირცხვილი და მშობლების გულისტკენა მბრკოლებდა.“



დღეს იმდენს წერენ სპორტზე, მის კეთილმოყვულ გავლენაზე, იმდენს ვარჯიშობს სხვადასხვა სახეობაში, იმდენს გაუშინებდა ფიზკულტურას, რომ განზე დგომა, ცოტა არ იყოს, სასაცილოც კი არის.

დავიწყებ თავიდან. მაშინ, როცა ჩემი თანატოლები ცურავს, ტანვარჯიშის, კალათაშორთისა თუ სპორტის სხვა სექციებში ვარჯიშობდნენ, ჩემი მშობლები ყოველნაირად ცდილობდნენ, არა თუ მევარჯიშა, ფიქრობდაც კი არ მეფიქრა სპორტზე. უფრო მეტიც, ტყუილბრალად დროს დეკარავაო და, სასირცხვილოდაც მიაჩნდათ. მასწავს, რა რისხვით შეგნდა მამა ჩემს სურვილს, დიდი აღფრთოვანებით რომ გავუმხილო — ტანვარჯიშის სექციაში ჩავეწერები და თანაკლასელებთან ერთად ვივარჯიშებ-მეფიქი.

წესიერი ოჯახის შეიღები ასე უაზროდ არ ხეტიალობენ, სპორტზე უპატრონო გოგონები დიდად, — მიპასუხა.

მაშინ კი მეწყინა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ის უარი ჩემთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ჩემი მშობლების მიერ სკოლაში იმ ცნობის წარდგინის შემდეგ, ფიზკულტურის გაკვეთილიდან რომ მათთვის უფლებდა.

მშობლების აზრით ჯანმრთელობა ჩემთვის მხოლოდ კარგ კვებას შეეძლო მოგტანა, და ისინიც არ იმუტებდნენ არაფერს, რომ ქალიშვილი მსუქანი, ლოყებდაქლავა პყოლოდათ.

თანდათან მემატებოდა წონაცა და შესაბამისად, მორცხვობაც. ახლა ვეღარაფერი მაძიებდდა სპორტული ფორმით სკოლის სპორტდარბაზში მისვლას, რომელიმე სექციაში ვარჯიში კი უკვე წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. ანუ



ვინახულე ბევრი ეზო, ისეთები, სადაც სპორტული თამაშების მოწყობის საშუალება არის. ვის არ შეგხვდია ამ ადგილებში — ექიმებს, ინჟინრებს, მუშებს, პენსიონერებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს, ბიჭუნებსა და ორი-სამი წლის ბავშვებსაც კი. ვარჯიშობდნენ, დარბობდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ცალ-ცალკე, სპორტული მოედნები და სტადიონები ქალაქში საკმაოდ ჭირს და ბევრი იბორომბზე და სანაპიროზე მეფარეშეც ვნახე.

ვერსად ვერ ვერც ერთხელ ერთ ქალსაც ვერ გადავწყვარე.

ვესტუმრე სანაპიროზე ახლანა გახსნილ საცურაო აუზსა და „ღინამა“ სტადიონის ცურვის სექციებს. „თუ გოგონას მოგვიყვანო, სიამოვნებით მივიღებთ. ბიჭები ისედაც ბევრი გვყავს“.

ცურვა გამოიხატის არ არის და ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია.

ძალით, რა თქმა უნდა, შვილს ვერავის გამოკლევ ხელიდან და სპორტულ სექციაში ვერ მიბარებ. ასეთ კეთილ მშობლებს რედაქციაში მოსულ წერილის უცნობ ავტორს შევასხენებდი:

თქვენი ხომ არ არის ის გოგონა?

**მანანა ჩალათაშვილი.**

## კიგანს ემღურიან

**კლუბ** „კამბურგერ სპორტფერაინის“ მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური უარყოფის მიუხედავად, გფრ-ის სპორტული მიმომხილველები ბევრს წერენ ამ გუნდის მოთამაშეებისა და ინგლისელ ვარსკვლავ კიგანის დიდი შესლა-შემოხლის შესახებ. საქმე ის არის, რომ კიგანი გაცილებით

უფრო მეტ ოფიციალურ ჯამაგირს იღებს, ვიდრე დანარჩენი ფეხბურთელები. გარდა ამისა, იგი როგორც ფიქრობენ, სხვათაშორის ვარჯიშობს და გატაცებულია ფინანსური ოპერაციებით, რაც მას დიდ შემოსავალს აძლევს. ლაპარაკია სხვადასხვა საქონლის რეკლამაზე. კომიქსების სერია „უ-

## მთავარი ფაქტობი — „ნოტინკა“ ფორენსი

მვრკაის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მთავარ ფაქტობილურ მონაწილე ფიზკულტურული მუშაობის „ნოტი-ნემ ფორენსტს“ მიიჩნევენ, რომ-

ლის შანსებს ისინი აფასებენ, როგორც 5:2. შემდეგ მოდის მადრიდის „რეალი“ და ამსტერდამის „აიაქსი“.

ლას-ვეგასის (აშშ) ბუქმეკრებიც უპირატესობას ასევე „ნოტი-ნემ ფორენსტს“ ანიჭებენ.

ჩვენის მხრივ, დავსძენთ რომ „ნოტი-ნემ ფორენსტს“, ამ თასის ახლანდელი მფლობელი, ინგლისის ჩემპიონატში კატასტროფულ მარცხს განიცდის.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჯადრაკის — 93-97-26; საშახტრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამოშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანები — 93-97-57.